ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N171

2016 წლის 24 ნოემბერი
ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №204 განკარგულებით დამტკიცებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ,,დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტების ტრანსპორტირების პროგრამაში" ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 63-ე მუხლისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 7 ნოემბრის N01/10461 მომართვის შესაბამისად:

1. შევიდეს ცვლილება ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №204 განკარგულებით დამტკიცებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ,,დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტების ტრანსპორტირების პროგრამაში" თანახმად დანართისა;

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ნ.თხილაიშვილი);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის

პროგრამა

2016 წელი

ზომის ერთეული - ლარი

1. პროგრამის სახელწოდება

დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტების ტრანსპორტირების პროგრამა

2. პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი:

" 1 იანვარი " 2016 წ.

" 31 დეკემბერი " 2016 წ.

3. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი

35900 (ოცდათხუთმეტი ათას ცხრაასი) ლარი

4. პროგრამის დაფინანსების წყაროები:

ა) ძირითადი _ ადგილობრივი ბიუჯეტი	35900	ლარი
ბ) დამატებითი	0	ლარი

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

6 პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც

პროგრამა ითვალისწინებს დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე 60 ბენეფიციარისა და მათი თანმხლები პირების ქ. ბათუმის კლინიკებსა და 2014წლის მარტის თვიდან შპს „უნიმედ აჭარას“ ქობულეთის რეგიონალურ საავადმყოფოში დიალიზის სეანსების ჩასატარებლად ტრანსპორტით გადაადგილებისათვის ყოველთვიურ მატერიალურ დახმარებას (თანხა გაიცემა საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინებით, პაციენტები ყოველთვიურად იტარებენ 13 დიალიზის სეანსს). ვინაიდან ხშირ შემთხვევაში აღნიშნული კატეგორიის ბენეფიციარებს არ აქვთ ტრანსპორტირების ხარჯები, ძირითადად ცხოვრობენ სოფლად და უწევთ ორი ან სამი სახის ტრანსპორტის შეცვლა, უჭირთ დამოუკიდებლად გადაადგილება, პროგრამით გათვალისწინებული დახმარება მათთვის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა იქნება. სიები მოწოდებულია ბათუმის დიალიზისა და ნეფროლოგიის ცენტრის (8 პაციენტი), შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ (2 პაციენტი), შპს "ვია-ვიტას" (8 პაციენტი) და შპს "უნიმედი აჭარას" (28 პაციენტი) მიერ, სადაც ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 49 ბენეფიციარი მკურნალობს. ანალოგიური პროგრამა მოქმედებდა 2012-2015 წლებში.

7. პროგრამის (ქვეპროგრამის) მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:

#	პროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორი
1	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტებისა და მათი თანმხლები პირების ტრანსპრტირების ხარჯები საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინებით	ბენეფიციართა რაოდენობა
		ბენეფიციართა კმაყოფილების დონის გაზრდა

8. **პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:**

2016 წელი													
N	პროგრამის აღწერა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტების შესახებ მონაცემების მოპოვება	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

2	თანხის გაცემა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

9. პროგრამის ბიუჯეტი

ა) პროგრამის დაფინანსება წლების მიხედვით

№	წყაროს დასახელება		2016 წელი	2017 წელი	2018 წელი	სულ
1	ძირითადი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი	35900			35900
2	დამატებითი					
	სულ		35900			35900

ბ) პროგრამის ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

2016 წელი
დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტების ტრანსპორტირების ხარჯები დაბის, თემისა და სოფლების მიხედვით

№	პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიების დასახელება (დეტალურად გაშიფრული)	ერთეულის დასახელება	მგზავრობის თანხა ერთეულზე (ლარი)	დიალიზის სეანსის რაოდენობა თვეში	ერთ ბენეფიციარზე და მის თანმხლებ პირზე თვის განმავლობაში გასაცემი თანხა (ლარი)
1	ციხისძირის ადმინისტრაციული ერთეული (ციხისძირი, სტალინის უბანი, შუაღელე) - ვია-ვიტა	ბენეფიციარი	4,00	13,00	52,00
2	სოფ. მუხაესტატე - ვია-ვიტა	ბენეფიციარი	8,00	13,00	104,00
3	სოფ. წყავროკა - ვია-ვიტა	ბენეფიციარი	12,00	13,00	156,00
4	სოფ. დაგვა - ვია-ვიტა	ბენეფიციარი	8,00	13,00	104,00

5	დაბა ოჩხამურის ადმინისტრაციული ერთეული (ოჩხამური, ცეცხლაური, ჯიხანჯური) - ვია-ვიტა	ბენეფიციარი	8,00	13,00	104,00
6	სოფ.აჭყვისთავი - ვია-ვიტა	ბენეფიციარი	10,00	13,00	130,00
7	საჩინოს ადმინისტრაციული ერთეული(საჩინო, ზედა აჭყვა, ქვედა აჭყვა) - ვია-ვიტა	ბენეფიციარი	6,00	13,00	78,00
8	ქ. ქობულეთი - ვია-ვიტა	ბენეფიციარი	6,00	13,00	78,00
9	სოფ. ზენითი - ვია-ვიტა	ბენეფიციარი	10,00	13,00	130,00

10	კვირიკეს ადმინისტრაციული ერთეული (კვირიკე, ქვედა კვირიკე, ზედა კვირიკე) - ვია-ვიტა	ბენეფიციარი	8,00	13,00	104,00
11	ბობოყვათის ადმინისტრაციული ერთეული (ბობოყვათი, ქვედა დაგვა) - ვია-ვიტა	ბენეფიციარი	6,00	13,00	78,00
12	გვარას ადმინისტრაციული ერთეული (გვარა, ქვედა კონდიდი) - ვია-ვიტა	ბენეფიციარი	8,00	13,00	104,00
13	სოფ. ქობულეთის ადმინისტრაციული ერთეული (სოფ. ქობულეთი, კოხი, ზედა სამეგა) - ვია-ვიტა	ბენეფიციარი	10,00	13,00	130,00
14	ლეღვას ადმინისტრაციული ერთეული (ლეღვა, ცხრაფონა, სკურა) - ვია-ვიტა	ბენეფიციარი	12,00	13,00	156,00

15	ქ. ქობულეთი - დიალიზისა და ნეფროლოგიის ცენტრი, რესპუბლიკური საავადმყოფო	ბენეფიციარი	7,60	13,00	98,80
16	სოფ. დაგვა - დიალიზისა და ნეფროლოგიის ცენტრი, რესპუბლიკური საავადმყოფო	ბენეფიციარი	10,00	13,00	130,00
17	დაბა ოჩხამურის ადმინისტრაციული ერთეული (ოჩხამური, ცეცხლაური, ჯიხანჯური) - დიალიზისა და ნეფროლოგიის ცენტრი, რესპუბლიკური საავადმყოფო	ბენეფიციარი	8,00	13,00	104,00
18	სოფ. აჭყვისთავი - დიალიზისა და ნეფროლოგიის ცენტრი, რესპუბლიკური საავადმყოფო	ბენეფიციარი	12,00	13,00	156,00
19	საჩინოს ადმინისტრაციული ერთეული(საჩინო, ზედა აჭყვა, ქვედა აჭყვა) - დიალიზისა და ნეფროლოგიის ცენტრი, რესპუბლიკური საავადმყოფო	ბენეფიციარი	8,00	13,00	104,00

20	სოფ. ზენითი - დიალიზისა და ნეფროლოგიის ცენტრი, რესპუბლიკური საავადმყოფო	ბენეფიციარი	12,00	13,00	156,00
21	კვირიკეს ადმინისტრაციული ერთეული (კვირიკე, ქვედა კვირიკე, ზედა კვირიკე) - დიალიზისა და ნეფროლოგიის ცენტრი, რესპუბლიკური საავადმყოფო	ბენეფიციარი	10,00	13,00	130,00
22	სოფ. ქობულეთის ადმინისტრაციული ერთეული (სოფ. ქობულეთი, კოხი, ზედა სამება) - დიალიზისა და ნეფროლოგიის ცენტრი, რესპუბლიკური საავადმყოფო	ბენეფიციარი	12,00	13,00	156,00
23	სოფ. ჩაისუბანი - დიალიზისა და ნეფროლოგიის ცენტრი, რესპუბლიკური საავადმყოფო	ბენეფიციარი	6,00	13,00	78,00
24	ბობოყვათი - დიალიზისა და ნეფროლოგიის ცენტრი, რესპუბლიკური საავადმყოფო	ბენეფიციარი	9,60	13,00	124,80

25	ხალას თემი, საჩინოს თემი -ვია-ვიტა ,,, უნიმედი აჭარა“	ბენეფიციარი	6,00	13,00	78,00
26	დაბა ჩაქვი	ბენეფიციარი	3,20	13,00	41,60
27	სოფ. ჩაისუბანი - უნიმედი აჭარა, ვია-ვიტა	ბენეფიციარი	4,00	13,00	52,00
28	სოფ. სახალვაშო	ბენეფიციარი	4,00	13,00	52,00
29	ქ. ქობულეთი, მუხაესტატე, კვირიკეს ადმინისტრაციული ერთეული, ხუცუბნის ადმინისტრაციული ერთეული, ალამბარი, კონდიდი - შპს "უნიმედ აჭარა"	ბენეფიციარი	2,00	13,00	26,00

30	აჭყვისთავი, დაგვა, ზენითი, სოფ. კოხი, ჭახათი, ლეღვა, წყავროკა - შპს "უნიმედ აჭარა"	ბენეფიციარი	4,00	13,00	52,00
31	გვარა, ოჩხამური, სოფელ ქობულეთი, ზედა სამება, ციხისძირი, ბუკნარი - შპს "უნიმედ აჭარა"	ბენეფიციარი	2,80	13,00	36,40
32	ქაქუთის ადმინისტრაციული ერთეული -შპს „უნიმედი აჭარა“	ბენეფიციარი	6,00	13,00	78,00
33	ბობოყვათი - შპს "უნიმედ აჭარა"	ბენეფიციარი	3,20	13,00	41,60

დამატებითი ინფორმაცია:

ა) დახმარების გაცემა მოხდეს 2016 წლის იანვრიდან 2016 წლის დეკემბრის ჩათვლით თვის პირველ რიცხვში გამგეობას უფლება აქვს ცალკეული კვარტლების მიხედვით არათანაბარი თანაბარი შესრულების შემთხვევაში გამგეობის საფინანსო სამსახურთან შეთანხმებით გადაანაწილოს პროგრამის ბიუჯეტის კვარტალური გაყოფა.

დამტკიცებული ხარჯების კვარტალური განაწილება

I კვარტალი 10 000 ლარი; II კვარტალი 10 000 ლარი;
III კვარტალი 8 500 ლარი; IV კვარტალი 7 400 ლარი.

ბ) მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:

2016 წელს დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტების ტრანსპორტირების პროგრამით მოსარგებლეები და 2017 წელს ახალი პაციენტის წარმოშობის შემთხვევაში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური მიმართავს გამგებელს პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებზე ყოველთვიური ტრანსპორტის ხარჯების გაწევის თაობაზე, საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში გამგეობის საფინანსო სამსახური გამგებლის ბრძანების საფუძველზე გადაურიცხავს ყოველთვიურად თვის პირველ რიცხვებში პროგრამაში ჩართულ ბენეფიციარს შესაბამის ანგარიშზე თანხას.

გ) მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

2015 წელს პროგრამით მოსარგებლე პაციენტები, ასევე 2016 წლიდან დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტები (შპს „დიალიზისა და ნეფროლოგიის ცენტრისა", შპს "ვია-ვიტას" შპს "უნიმედ აჭარა" ქობულეთის რეგიონალურ საავადმყოფოს და შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს" მიერ მოწოდებული დიალიზის პროგრამაში ჩართული ბენეფიციარები).

დ) პროგრამა ითვალისწინებს დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტებისა და თანმხლები პირების ტრანსპორტირების ხარჯებს დაბისა და სოფლების მიხედვით, საცხოვრებელი ადგილიდან სამედიცინო დაწესებულებამდე და სამედიცინო დაწესებულებიდან საცხოვრებელ ადგილამდე. შპს დიალიზისა და ნეფროლოგიის ცენტრთან მისასვლელად საჭიროა დამატებითი ტრანსპორტი, ამისათვის გათვალისწინებულია 8 ბენეფიციარზე ქ. ბთუმში მგზავრობის თანხები.